

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რანოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხარეობათვის აღწერს: ГИФЛИЕТ, РЕД. „ДРОБА“

ყასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50 კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაშრომი „დროებისა“ დიას 5 კაპეიკა.

დროება

ბამოლის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული წყარაზე 25 კ. წყარაზე
25 მანათი; პირველი 50 მ. წყარაზე სტრიქონზე
ნების ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ საქართველოში მოთხოვნილი რედაქცია განაწილებს და შეამო-
ღებს დასაბუჯად გამოცხადებულ წიგნებს, დაუბრუნებლად
დებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ვეტონს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. бонторѣ объявл.
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

დროების რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ **შვედოვის**
სააგენტოში აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ განცხადებამ და სრულ
განცხადებები მასში დასაბუჯდება. ხელის-მოწერით, ან განცხადებ-
ბის მოცემის მომენტით რედაქცია სთხოვს პირდაპირ რედაქციის
კანტორას მოძებნონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარანოვის სახლში).

თბილისის ქალაქის გამგეობაში კვი-
რა-უქმე დღეების გარდა ყოველ-დღე
დილის ათ საათიდან პირველ საათამ-
დის მიიღება ხელის მოწერა თულის
შესაგროვებლად განსაკუთრებული გენე-
რალ-ადიუტანტის გენერალ-ოტ-ინფან-
ტერიის თავადის ბრიგადის დიმიტ-
რის ძის ორბელიანის ძეგლის ასაგე-
ბად ქალაქს თბილისის. (3-1)

შინაური ქრონიკა

== ამას წინაღობა ერთი ყმაწვილი
კაცი გვარად ჯ—ძე გაგზავნა დის-
ტანციონალურ ბატალიონში შეურაც-
ხების მიყენებისათვის ახლად დაარსე-
ბულის «მომბის» თავმჯდომარისა დე-
და ჯ—ძისა, რომელიც ერთად ერთ
ნუგეზად თავის შვილსა ჰხადოდა,
ჩამოვიდა თბილისში და უნდოდა
როგორმე მისი ბედი გაეადვილები-
ნა, მაგრამ ნახვაც კი ვერ მოა-
ხერხა. არამც თუ ნახვა, საბრალო
დღემ არც კი იცის, თურმე სად არის
იმისი შვილი, რომ წერილით მაინც
ინუგეზოს და ანუგეზოს ყოველად
უმწიერად დარჩენილი ყმაწვილი კაცი.

== ძიღვე დაუდევრობის მაგალი-
თი: გუმინ-წინ, ღამის ათ საათზედ,

საკვირაო ავტობიოგრაფია

სიყვარული გვაღაპარავს.—ადრინ-
დელ ჩვენ თავად-აზნაურთა ქალაქისად-
მი მიდრეკილება და მისი შედეგი.—
ქამაწლოვითი ცხოვრება.—ს—ს ფი-
ბე და პრიკაზი.—ცხოვრების იდეა-
ლის შეცვლა.—ოჯახის იდეალი გრო-
ში განდა.—მზითვითი ცხოვრება.—სი-
კვდილის უკან სინანული.—მარშლეპო,
გვიჭირისუფლო!

რადენდაც უფრო გიყვარს შენი
მეგობარი (ქალია, თუ ვაჟი), რადენა-
დაც უფრო კეთილი გწადია მისთვის,
იმდენად გულ-ღია ხარ მასთან; არც
აუი გინდა დაუფარო მას, არც კარ-
გი; შენი საიღუმლოც გინდა გაუზიარ-
ო და მისიც ამხილო, თუ მას
შენთან ნამდვილი მეგობრობა უნდა
და შენც მისთვის შესტრფი, რომ მის-
გან კეთილისათვის ბოროტი არ
მოილო, უთუოდ შენი პირში-მთქმე-

ალექსანდროვის ბალის პირ-და-პირ
თ. მუხრან-ბატონის სახლის წინ ორ
კაცს მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთს
ცემა დაუწყეს. ცემა-ტყევა ერთ სა-
ათამდის გაგებდა. ხალხი ბევრი მოგ-
როვდა. ჰვირილზედ ქვემოთ ბალიდა-
ნაც კი ამოვიდა ხალხი და წესიერების
დამცველი კი ამისთანა საჩინო ალაგას
არსად იყვნენ. ბოლოს თვით ხალხმა
გააშველა მოჩხუბარნი და როდესაც
მეთორმეტე საათზედ ყველანი დაი-
შალნენ, ერთმა პატარა ბიჭმა მოიკე-
ნა „გოგოლოვოი“, მაგრამ რაღა
დროს...

== მაშენთ «Новост»-ში ვკითხუ-
ლობთ: რამდენიმე უცხოეთელი მეც-
ნიერი ქავკასიაში მუშაობენ სხვა-და-
სხვა სამეცნიერო საგნების გამოსაც-
ლევად. მაგალითად, დოქტორი დე-
ლიერონი სწავლობს მცენარეებს და
მოლიუსკებს (პაწაწინა პირუტყვებს)
რომელნიც შავ ზღვაში სცხოვრობენ;
საქართველოში ბერმანის ბუნების
მეცნიერი ზიგემერი ადგილობრივი
მწერების გამოსაცლევად არის და
ინგლისელი ჯემს სონდერსი ქავკა-
სიის ყინვართა შესწავლას აპირობს.

ლობა, რჩევა და გაფთხილება,
არა თუ აწეინებს მას, არამედ პირ-
იკით გაამხნეებს, დაასინდისიანებს
და რჩევა-გაფთხილებისათვის თანაგრძ-
ნობით მადლობას გიძღვნის, თუნდ
შენ გაფთხილება მკვანე და შეუფე-
რებელი სიტყვებითაც იყოს გამოხა-
ტული. წინააღმდეგ შემთხვევაში,
როცა შენი მეგობარი და საყვარელი,
კერძო პირია იგი თუ საზოგადოება,
თავქარიანი «ბარინსასავით», ერთი
მკვანე, განზრახ ნათქვამი სიტყვისა-
თვის წინდს დაგკრავს და რადენდაც
შენს მეგობრად თავი მოჰქონდა, იმო-
დენად მტერი გაგხდება—აი, ამისთა-
ნა შემთხვევაში ორიოდ მართალი,
მაგრამ გულში ჩასაჩინად წარმოთქმუ-
ლი სიტყვაც კმარა, რომ შენი მეგო-
ბარი მტრად გადიოდო. რადგანაც
არაფერს ამ გვარს არ მოველოთ ჩვე-
ნი თავად-აზნაურობისაგან, ამიტომ
დღევანდელს ფელტონში გაკვრით
ვიტყვით ორიოდ სიტყვას იმის წა-


„დროების“ კორესპონდენცია

დ. დილიჩანი, ივლისის 11-ს. გუ-
შინ გამოჩენილმა ყაჩაღმა ჰვირიმამ
კვალად გამოიჩინა თავი დილიჩნიდამ
ბლესტაისკენ 25 ვერსის მანძილზედ,
ძარავენ-სარაის და ტარსაჩაის სტან-
ციებ-შორის, უკანასკნელიდამ მეთერ-
თმეტე ვერსზედ. წუხელის, ათს საათ-
ზედ, რაღაც უჩვეულებრივო მოძრაო-
ბა შეიქმნა დილიჩნის პოლიციელებ
შორის, რომელთაც ჩემის კითხვის
პასუხად მომიგეს: «ჰვირიმა შეუ-
კრიათ მცხოვრებლებს და მივექარე-
ბით დასაჭერად». დღეს-კი სხვა
აღმოჩნდა. ბაზარში გავლის დროს,
მთელს დილიჩანში ამ ამბის შესახებ
დიდი ჩოჩქალი ისმოდა. მეც მოწყუ-
რებულმა ამ ამბით, მოვიხმე ერთი
გაცარცული მეფურგუნე, როგორც
დამსწრე გუმინდელი ამბისა. აღმოჩნ-
და მართლაც, რომ ჰვირიმას ძარავენ-
სარაიმდის რუა ვერსის მანძილზე დი-
ლის რუა საათიდან დაწყებული, ორ-
საე მხრი» მოსეს გზაზედ მიმავალ-
მომავალი მგზავრი არ გაუშვია, შეუ-
პყრია და ისრე უცარცავს, საღამოს
ხუთ საათამდის. მგზავნი შეგროვი-
ლან სამოციდამ ოთხმოცადის, რომ
მელთ რიცხვში მოჰყოლიან ორი სამ-
ხედრო უწყების პირნი, პოდ-პოლკოვ-
ნიკი და აფიცერი, ეს უკანასკნელი
თავის ცოლით. ნადავლი ფული ნაღ-
დი შეადგენს სამასიდან ხუთას თუმ-
ნამდის, გარდა ოქრო ვერცხლეულის
ნივთებისა, მაგალ. საათებისა, ქამრ-
ებისა, ხანჯლებისა, ბეჭდებისა, ჩოხე-
ბისა, წაღებისა და სხვ. თავისუფლად
დაუდგმეინებია სამოვარი და მიურ-
თმეფია ჩი აქ მკოფი ორი ქალის

სულზე და ამ ორიოდ სიტყვის თქმას
გვაბედნიერებს თვით თავად-აზნაურო-
ბის დღევანდელი მდგომარეობა და
გასაქარი, რომელიც წარსულის ბე-
დოვლობის შედეგია და რომელიც
ჩვენ პირად გასაქარად მიგვაჩნია, რა-
დგანაც ჩვენ მის ნამდვილ ღვიძლ შეი-
ლდა ესთელით ჩვენს თავს.
იყო დრო, როცა ჩვენს შეძლე-
ბულს თავად-აზნაურობას თბილისისა
და ქუთაისისკენ მიუხაროდა. რა კი
თოფ-იარაღზე ხელი აღებული ჰქონ-
და და გუთანი და სახნისი, ბარი და
თოხი მისი ღირსების შესაფერ ია-
ლად არ ჩაითვლებოდენ, რა უნდა
გაეკეთებინა მას იორისა და ალაზნის
ქალებში, რიონისა და მტკვრის ვრცელ-
სა და ნაკოფიერს ბარ-ღელეებში? ახ-
ლა ყოველი შეძლებული თავად-აზ-
ნაურის საზრუნველი საქმე ის იყო,
რომ ცხენით თუ ურმით ბარგი-ბარ-
ხანა ქალაქებში გადაეზიდა და აქაუ-
რი გასართობი ცხოვრებით მთელი

თვის, მხოლოდ კაცები მუშაბუთე-
ნია ნადავლ საზამთროებზედ და ისე
გაჰმასპინძლობია. ბოლოს უბრძანებია
სამჯერ ურას ყვირილით წვეულობის
გათაეება. შემდეგ დაპოლია თავი-
დამ: ქალებისთვის, რაც ფული და
სხვა რამე ოქრო-ვერცხლის ნივთები
წაერთმია, ზრდილობიანად დაუბრუ-
ნებია. «ასრე სთქვით, რომ ჰვირიმა
ქალებს არა სცარცავს, და არც რას-
მეს უშაგებს, მხოლოდ კაცი ვარ და
კაცებთანა მაქვს საქმეო». ძაღების-
თვის თვითოეულად უკითხავს ვინაო-
ბა, და ზოგ მცნობთათვის სიცი-
ლით საით მიმავლობა. ბოლოს
ყველასთვის გზის და გვარად განუ-
საზღვრავს და გზის ხარჯი მიუცია
სათითაოდ. პოდ-პოლკოვნიკისთვის
უთქვამს: «შენს ნადავლს 900 მანათ-
ში 25 მანათი გეყოფათა» და სხვ.
და სხვ. მე დღეს მოველოდი ყარსის
გუბერნატორს ტომიჩსაო, მაგრამ არ
ვიცი, რად დაიგვიანაო. «მართლაც,
ნამდვილად ტომიჩი ქარსიდან მოსუ-
ლი, დილიჩნის ახლო წავიდა ქვის
გასაშინჯად ქარსის ეკლესიისთვის
ინჟინერი თუმანოვითურთ და დილი-
ჩანში ინჟინერ სიმონოვთან სადილის
შემდეგ ქარსისკენ წაბძანდენ. ჰვირი-
მას საღამოს ხუთ საათზედ დაუსრუ-
ლებია მასპინძლობა, დაუწერინებია
ვითომც წერილი, შეუდგენინებია სია
ნადავლისა, დაუბეჭდია და გამოუგ-
ზავნია მასრის უფროსთან, შემდეგის
სიტყვებით. «სანამ ჩემს ცოლ-შვილს
არ გამოუშვებ საპყრობილიდამ, სა-
ნამ ამისთანა საქმეს არ მოვიშლიო». **თითქმის ეს პირველი შემთხვევა იყო**

ცოლ-შვილით და ოჯახობით დამტკ-
ბარიყო. ძალბატონებმა ამ გვარად
ცხოვრების შეცვლის უარი არა სთქვეს,
არამედ პირ-იკით მრავალ-ნაირი სა-
ბუთები წარმოადგინეს, რომ ქალაქ-
ში ცხოვრება სჯობია სოფელში
ცხოვრებასაო: ზოგს მანა ჰყავდა ჩვენს
გამკეთებელ საქალაო ინსტრუქტორში
შესა-ვანი, ზოგს საშუა, ზოგს ვაჟი
სასწავლებელში ყურის-სადგები, ზოგს
«აუტუტანტი» და «პორუჩიკი» შვილი
ჰყავდა სამსახურში და ამათი წარმა-
ტებისათვისაც საქირო იყო ოჯახის
ქალაქად მოწყობა. ამ საბუთების
უარს და წინააღმდეგობას ვინ გაბე-
დავდა! ამ გვარად, აებარება ჩვენი
შემდებელი თავად-აზნაურობა, დას-
ტოვა სოფელი და ჩაებარება ქალაქებ-
ში. ახლა მაშეკები და საშეკები, სანდ-
რო და გიგო ყველა ევროპიულად
უნდა გამოეზარდა, ოჯახიც ევროპიუ-
ლად უნდა მოეწყოა მისი ძველი ჩვეულებ-
ბა გარეგნობითაც და შინაგნობითაც



ჰეირიმასაგან ფოსტით მოსიარულე მგზავრზედ დაცემისა და გაცარცვისა.

ამ ნადავლის წასაღებად წაუყვანია ცხრა ცხენი, შვიდი ფოსტისა და ორი გარეშე მგზავრისა. წინდების-ამარა დარჩენილმა მეფურგუნემ უკანასკნელად გულ-ამოკვნესით გაათავა, რომ 50 მან. ხანჯალი, წაღები და ჩოხა წამართვაო და როდესაც უკანასკნელი ვთხოვე, მოკვლა დამიპირაო. შევლას სიცილით გამოემშვიდობა, ქუდის მოხდით მადლობა გადაუხადა ნადავლისთვის, ერთს თვეს მეყოფაო. მხოლოდ ამ ამბავზედ ლაგაფაცივებით ლაპარაკობენ ეხლა მოელს ამ მხარეში.

სოლიკო.

ჰეირიმას «სამქმენი საბიროსნი»

ბუშინ-წინ ქალაქში ხმა გავარდა, რომ ყაზალი ჰეირიმა რამდენიმე კაცი თამ ორის დღის წინად ჩასაფრებულა მრეწვის გზაზედ და დილიდამ საღამომდე ორასამდე მგზავრისათვის ერთად მოუყრია თავი და გაუცარცვავსო ასახელებდნენ ერთ-ორ პირს, რომელნიც ჰეირიმას ხელში ყოფილიყვნენ და მშვიდობით ჩამოსულიყვნენ ობილისში. ზოგნი აქებდნენ ჰეირიმას სულ-დილობას, რომელსაც ახათუ არავისთვის რა დაეშავებინა ფულის წართმევის გარდა, ზოგი ღარიბისათვის სამგზავრო ფულიც კი ეჩუქებინა. ამბობენ, რომ ჰეირიმა სასტევა, მე არავის რას ვერჩი, მხოლოდ მამიჩემის მკვლელებს უნდა გადაეგზავნა და მამიჩემის მკვლელის გამამართლებლებსაო. ამ ფრიად საყურადღებო ამბავზედ გავ. «ახ. მიმოხილვა» მოგვითხრობს ერთის განთავისუფლებული ტყვის თვალით ნახულის გამო:

„საქმელა საუკუნოებში იყო დრო, როდესაც გერმანიაში მუშტი მეუბლა და ეკლა იგონებად ასე რაინდი თავის

სრულიად უნდა გამოეცვალა. ძველებური ყაზახი, ბურთი, ჯირითი, კრივი და ყენობა იმას აღარ ართობდა. აქ ბიორგი მრისთვის სცენას რუსული თეატრი მოეწია; ამასთან კლუბებიც გაიშალა; ამას მოჰყვა საღამოები, ბალები, პიკნიკები და ყველა ამათ ისე გაიტაცეს ჩვენი თავდაზნაურობა, როგორც ტპილი წვენიო საესე ყვავილმა ფუტკარი. მაგრამ ფუტკარი ყვავილს თვით სწუწის, ტპება დროებით და მომავლისათვისაც სარჩოს აგროვებს. თავდაზნაურობას კი უკულმა მოუვიდა. მას პირიქით, უნდა გადაეგო, თუ რამე გაჩნდა და, თუმიცაღა წუთიერად კი ტპებოდა, მაგრამ ბოლოს დროს იმდენად უნდა გამწარებულიყო, რადენად ფუტკარი ტპება ხოლმე, როცა თავის ნაშრომ თაფლს შეეჭკევა. ამ გვარად ცხოვრების მოწყობას დიდი ფული და შემოსავალი ეჭირებოდა, მაგრამ რა კი თავდაზნაურობას მამშინ ფულად ფული არა ჰქონდა, უნ-

დომარეებით უკრავდა გამკლავ-გამომკლავთ დიდ გზებს და თავისთავსკვე დადგენილს სარჯს ათმეკდა. ამ ნაირს საქმესავე სხადის ჰეირიმა თავის ამსახვებით. დღეს ჩამოვიდნენ ქალაქში რამდენიმე პირნი, რომელნიც ჰეირიმას შეხვედრადნენ. ერთი მათგანის სატყეოთ, ჩვენ ავწერთ, თუ როგორ ჩაუსაფრდა იგი ამ თავის ათს აღქმისანდრეზობლიდამ თბილისისკენ მომავალეს. დიღის 9 საათზედ ჩასაფრდა ჰეირიმა თავის თორმეტის ეხხალით და აქ-იქ ადგილებზედ უჩაულები და აყენა; ერთს ადგილს, სადაც გზა უხვეს, ოთხი უხალი დადგა „ზობადის“ თაფლით შეიარაღებული. უჩაულებმა ანიშნეს მსხვერპლის მოახლოება და ოთხმა უხალმა შეაყენეს გამკლავი; მას ჯერ იარაღი აჭერეს და მერე ჰეირიმასთან წაივანეს, რომელიც იქვე ახლოს ტყეში საღიხაზედ წის და ასამართლებს ცოდავლად და მართლდა; იგი ძლიან თავის ვაზინად იქცევა; რიგან პირთ თავის გვერდით სხამს საღიხაზედ და მხარეზედ ელანარაკება; ამასთანვე ეკლას უცხადებს, რომ დამის 8 საათამდის დატყეოლა იქნებოდა; უბრალო პირთ კი თავისზედ მოშორებით სხამს რიგან პირთ შორის მოჭყვა თბილისელი ვაჭარი ტ-ვი თავის ცოლით, ასევე მოუგადა ერთს მალაკანს, რომელსაც ფოსტის სტანციები უჭირავს და წინად ჰეირიმას ამსახვი უთავიდა. მაგრამ ამან მისიც არ დააბრკოლა ჰეირიმა გამოერთობა მათთვის 1,500 მან. ფულად და ფოსტის საუკეთესო ცხენები. ამით შექმდე გამოიარა ერეგნის ოქქას სასამართლოს გამოძიებულმა, რომელსაც 350 მან. ფულად და გვერდის პორტლიგარი გამოართვა, რის მიგვირთაც ჰეირიმა აჩუქა სასსოგარად პიკე-მაქს პორტლიგარი და 1/4 გარ, თამბაქო; შემდეგ გამოიარა სამხედრო გამოძიებულმა; მას წაართვა 1,400 მან, რომელთაც 1000 მან. სასულფიფო უთავიდა; ერთი ახალ-გაზდა თათრისათვისაც 450 მან გამოერთობა. ამ ნაირად შეგროვებინა 5000 მან. ფული. ამასთანვე უნდა შექნიშნოთ, რომ არც ერთისთვის რაც სუდ ტანისამოსი ეცვას არ

და რაიმე ფულის წყარო გამოსჩენოდა. აი კიდევაც აღმოჩნდა დაუშრეტელი ფულის ხარო: ს-ის ჯიბე და პრიკაზი; გულ-ხარბად დაეწაფა მას თავადიც და აზნაურიც. ამ ორმა საშუალებამ გაუხსნა ხელი არა თუ ქალაქებში დაბინავებულს აზნაურობას, სოფლებშიც ბოხობით გაზიდეს ფული და იქაც ეგროპიულად ცხოვრებას შეუდგნენ. დაეწაფნენ ამ ორს წყაროს; ფულისაგან ორივე დააცარიელეს კინალამ, მაგრამ მაგიერად თავიანთი ყმა და მამულები დაუთმეს ამ ორს გაუმძღვარს არსებას (მართალია ჯერ პრიკაზს არაფერი მოუთხოვია მათთვის, მაგრამ მოსალოდნელია, მოითხოვს).

პრიკაზიც და ს-ის ჯიბეც ისეთი სტუმართ — მოყვარენი აღმოჩნდნენ, რომ არც ერთი თავადისა და აზნაურის თხოვნა არ გაუმტყუნებიათ, ყოველთვის მარილიან სიტყვასთან ფულის მარილსაც მიაწოდებდნენ ხოლმე. ახლა რას აკეთებდა ჩვენი თავდაზ-

გამოერთბეკია, მვირფასი ნივთები კი გამოერთობა. განც ეს ამბავი გვიამბო, იმისთვის 90 მან. ფულად და ოქროს საათი გამოერთვა. როდესაც ეს ჰეირიმასთან მივეკნათ, ასამდის დატყეოლი გაცი დასვედროდა იქ გასქელებული მალაკანის ჰეირიმას პურ-მარღს აუკადრდა.

— რა გცი სარ შენ, რომ პურმარღა დაივიწყე და მეც შენს ფონალს, მცარცვავ!

— ის სხვა საქმე იყო, მიუგო ჰეირიმა რუსულად და ესლა კი სხვა საქმეს.

— ჩემს ცხენებს მაინც თავი დაჩუქე. ჰეირიმა უარზედ იდგა.

— შენ „ზოდლევი“ უთავილხარ, — უთხრა მალაკანმა და მოშორდა.

როდესაც ამ ამბის მბობელს 90 მან. და ოქროს საათი გამოართვეს, ჰეირიმა ჩემოდანზე მიუშვირა სელი და უთხრა:

— იმაში ფული არ არის?

— რა ფული იქნება! კოქა მას.

— არა სტყუი?

— თუ გინდა გასინჯე.

— ვარგი, მჯერა და დაუბრუნა აბრკით სავსე ჩემოდანი.

საზოგადოდ, ჰეირიმა აკეკულობას არ ართმევდა და ამბობდა, რომ ეს უსურდა-მურდა“ საჭირო არ არისო. მხოლოდ როდესაც ერთი ვაჭრის საქონლის ცელა დაინახა, ხანჯლით გასჭრა, რაც უნდოდა ამოარჩია და დაწარჩინი უკან დაუბრუნა პატრონს. საწყალ გლეხებს და სკლასებს კი სვდა ტანისამოსს და ტიტკლებს უშეგებდა, ან არა და გასდიდა ერთ-ერთ თავის ქვეშევრდომს ჩოხას და მოწყვლებასაკით აღეკდა გაცარცულს. საღამომდის 150 გ. მდის დაგვიტვირეს ჰეირიმა და ამისმა 12 უხალმა. როდესაც რვა საათი სრულდებოდა, ჰეირიმა გასინჯა საათი და უთხრა თავის ქვეშევრდომთ მომსახურებელიყვნენ შემდეგ მითართა დატყეოლებს ამ სიტყვით: „ბატონებო, თქვენთვის, რასაკარგულია, ფული საჭირო იქნება, რომ თავ-თავის ადგილზედ მისვიდეთ, ამისთვის კვდები რამდენიც შემადლიან მოგცეთ“ და დაუურიგა ზოგს 5 მან., ზოგს 3 და ზოგს

1, ერთ ცოლ-ქმარს 6 მან. მისცა. ამ ნაირი გულ-კეთილდობა, რადგანაც ტ-ვის ცოლმა სტანციის მუშაკადანა, როდესაც იგი ცხენზედ ვადებოდა.

— ამ დატყეოლს საღსში ორი ქალის მეტი არა ვართ: მე და აგერ ის ქალი. — მიუთითა სხვა ქალზედ. იმ ქალს შენ სელიც არ ახლე (მართლაც მას არაფერი გამოართვა) შეკი ფული არა და საუურებებც გამოართვი.

— მე არ გამოამართვიკია, — უთხრა ჰეირიმა.

— ბრილიანტის საუურები გამოართვის.

— თქვენ, ვინ გამოართვით საუურებები! დაუუვირა ჰეირიმა თავის ქვეშევრდომებს.

ეკლამ უარი თქვენს. მამშინ ეკლას იგინი დახსრიკა. საუურები იზოგნა და მოხდენილ ვაჭარსაკით დაუბრუნა ტ-ვის ცოლს.

როდესაც თავიანთ-ფეხებამდის შეიარაღებული უხალეებ ცხენებზედ შესდნენ, ჰეირიმა უთხრა დატყეოლებს:

— ბატონებო, ესლა თქვენ თავისუფალნი ხართ! ნახვამდის! სთქვა და მოტკურცლას თავის ამსახვებით.


ამბობენ, რომ მხოლოდ სამმა აფიცრმა არ აიყარეს იარაღი და გამოუტყადა, რომ ცოცხალის თავით არ დატყებდებოდა და თვითონაც დაუმიზნეს უხალეებს რეკოლევრები; ამის წყალობით აფიცრები გაუშვეს.

თბილისში წყლის გამოსყვანის გამო.

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით რამდენიმე სიტყვა წარმოვსთქვა ჩვენი ქალაქის რჩევის იმ გადაწყვეტილების გამო, რომელმაც ზოგი ალტაცებაში მოიყვანა და ზოგიც მწუხარებით ამოაოხრა

ამოაოხრა მეოქი ვამბობ და პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ეს

რებლად გაუჩენია და როცა იგი საშუალოდ გამბულ მოთხოვნილებად იქმნება, სიკვდილის ნიშნად უნდა ჩაითვალოს. ან კი რაღა ზნეობითი განსვენება უნდა იყოს ტყუალა-მკამელსა და მკედარ ზორის? ის, — რომ მკედარი უფრო სასარგებლოა ტყუილამკამელზე. მკედარი მიწაში გღია და ტყუილამკამელი თვალში ჩხირად გესობა ფეხებში გებლანდება ისეთ კაცს, რომელსაც საქმის გაკეთება გინდა. აი, ასეთი არსება შეიქნა მეპატრონე იმ ოჯახებისა, რომელნიც ხმლით და სარწმუნოებით იყვნენ მოგებულნი და წმიდა ქრისტიანობის ზნეობით საძირკველზე იყვნენ დამყარებულნი. ამ ოჯახებში ტრიალებდა პირველად მამულის მოყვარეობა, კეთილი ზნეობა და პატიოსანი ხასიათი მაქაცის იდეალი ღვით მევე და შოთა რუსთაველის ტარიელ და პეტანდლი იყვნენ, ქალებისა მამარ მეფე, წმიდა ნინო და მეთევანი, ნესტან ღარიჯანი და მინათინი. მაქი



სიტყვები გამოიწვევს, გაცივრება იქნება. მართლაც, მბილისში ცივი წყაროები გამოჰყავთ, ქალაქს წყალი ექნება, ზოგი ერთს ადგილებში ხრიკები ბაღებად გადაკეთდება და ისეთი კაცი იპოვება, რომ ამ გვარს გადაწვეტილებებზედ ოხრავს!

მარწმუნებ გაცივრებულებს, რომ ოხრის მიზეზი არის და არის იმისთვის, ვისაც გულითა და სულით მბილისის გაედევნება უნდათ.

მა უკანასკნელები ამბობენ, რომ გამოყვანილი წყაროები დიდს ხარჯის შემდეგ მთელს მბილისს ვერაჰყავნიან. რჩება ქალაქის ისეთი ნაწილები, რომელთაც შუროთ უნდა უყურონ წყალით გამძღარ ბენიერ ხალხს და თითონ-კი წყურვილით იღრჩობოდნენ. წყალი გასწვდება ძუკიას, რომელიც მტკვარზედ მოშორებული სრულიად არ არის; გასწვდება კიდევ სოლოლაკს, რომელსაც უიმისოდაცა აქვს ოდესმე ქალაქის საკუთრება წყაროები, მაგრამ ეხლა ცილა-ცილადაცაა დაჩეხებული და კიდევ იმ ქუჩებს, სადაც შეძლებული ხალხი დგას, სადაც ადგილები და სახლები დანარჩენს ადგილებსა და სახლებზედ მეტადა ფასობს და, სადაც მუშტარი არ აკლდება შენობებს და გაცხოველებული ვაჭრობაა. მაშასადამე წყლის გამოყვანის გადამწყვეტელთ მხედველობაში მხოლოდ შეძლებული ხალხი ჰყოლიათ და მათთვის უზრუნვიათ, ვისთვისაც წყლის მოწინა ისეც გასაჭირი არ იყო. შევლაზედ მეტად მტკვარს დაშორებული ხალხი, რომელსაც თულუხი, თუ ბოჩკა პირველებზედ ერთი-ორად ძეტი უჯდება, უმოწინაღობა რჩება, გამოყვანილი წყალით ვერ ისარგებლებს და ერთი-ორად ფასის მძლეველნი იოტისოდნად ხარჯს ვერ შეიმსუბუქებენ.

ამ წყაროების გამოსაყვანად და აუზების გასაკეთებლად კარგა ბლომად ფულია ნაანგარიშები და საქმოდ

სამძიმო ქალაქისთვის და ვინ იცის კიდევ მუშაობის დროს დანიშნული თანხა იკმარებს, თუ არა. იმასაც გადაწყვეტით ვერაინ იტყვის, გამოყვანილი წყაროების შემოსავალი ნამდვილად დაჰფარავს ხარჯსა, თუ არა?

რასაკვირველია, ამ სიტყვებს ადგილი არ ექნებოდა, თუ კითხვებზედ «არის რამე სხვა საშუალება, თუ არა?» პირ-და-პირ მიგება არ შეგვეძლო. «არის და ბევრით უფრო სასარგებლო და ადვილად მოხერხებულია».

მაგრამ ან ეს კითხვა-პასუხი რასაკვირ იყო, როდესაც თითონ წყაროების გამოყვანის მოპროექტით და გადამწყვეტთ თითონაც ძალიან კარგად იცინ, რომ არის ეს საშუალება და ბევრად მომეტებულია სასარგებლო, რომელიც არამც-თუ მხოლოდ მბილისს, არამედ მცხეთიდან მოყოლებული შარაიამდის დამწვარს და გაბუგულს მინდვრებს გააცოცხლებდა, ედემად გადააქცევდა. ეს საშუალება არის არხის გამოყვანა პრაგვიდგან, იმ ძველის წყლის არხზედ, რომელზედაც ოდესმე ბევრად უფრო ჩვენზედ უსაშუალო ხალხს გამოუყვანია და შემდეგ მოუვლელობის გამო არხი წამხდარა

ამ არხის გამოყვანა, მართალია, სახუმრო ხარჯს არ მოითხოვდა, მაგრამ სარგებელსაც დიდს მისცემდა; წყალი არამც-თუ მხოლოდ ქალაქის გაღმა—მხარეს გასწვდებოდა, არამედ მთელს თვალ-გადაუწვდენელს მთებს და მინდვრებს, რომელნიც მბილისის გარს შემორტყმია. ეს ადგილები ეხლა უნაყოფიანი არიან; სადაც ეხლა ბალახი-კი ვერ ითიბება, მაშინ მილიონების შემოსავალს მისცემდა და დამყვანებული მწვანე მცენარით ჰაერს სრულიად გამოსცვლიდა. სუფთად მდინარე პრაგვის წყალი არაფრით არ ჩამოუვარდება ავკალის წყაროების წყალს აუზებში შეყვანულს და მდინარეობას მოკლებულს.

იგი, შექცევა, ერთი სიტყვით კუჭი გაღმერთდა. რადგანაც კუჭი გაღმერთდა, მისი სამსხვერპლო ზვარაკისათვის უნდა ეშრომა ყველას და რაკი თავიანთი შრომით კაპიეის მოგება არ შეეძლოთ, უთუოდ სხვა უშრომო წყარო უნდა მოეძებნათ. ძალმა მდიდარი სასიძოს ძებნა დაიწყო და ვაჟმა მდიდარი საცოლესი. ამის გამო ოჯახის საძირკველად გროში შეიქმნა, ცოლ-ქმართა სიყვარული და აქედამ წარმომდგარი ოჯახის წევრთა შორის კავშირი ფულით მოსაგებ და სასყიდელ ნივთად გახდა. როდემდისაც ცოლს ფული არ გამოეღვივდა, ქმარიც მოყვარული ჰყავდა, როცა შემოაკლდებოდა, ქმარს სახლში ვეღარ ნახავდი. აგრეთვე მდიდარი სასიძო თუ იყავი, თუნდ მეფის ჩამომავლობას შეირთავდი. ახლა ამ ბოლოს დროს მდიდარი სასიძო და სასიძონიც გამოილიგნ და აღარ ვიცით, რა საფუძველი დაედება სამერმისო ოჯახს? «სწავლაო», ამბობენ, მაგრამ სწავ

ამას გარდა პრაგვის არხი რაც უნდა დამჯდარიყო, იმდენად მოუმატებდა შემოსავალს იმ ადგილებს სადაც-კი მისწვდებოდა, რომ ხარჯის გარედ მთელს ქალაქს სამუდამო მოუღალავე ძიხად გადაექცეოდა. მხლანდელს ხრიკებზედ გაიპარებოდა საზაფხულო სადგურები და იმ ფულის ნახევარი მაინც რაც ეხლა ქალაქიდან გასულებსაგან ვინ იცის სად იხარჯება — მაშინ ისეც მბილისში დატრიალდებოდა.

ტელეგრაფები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“ იელისის 12-ს.

პეტროპოლისი. გამოცხადებულ ბრძანებათა ძალით, მაქა უნდა იქნას დიკრუდა შემდეგ რეანის გზების გასაყვანად: 1) სამარა-უფისა, რომელიც გრებიურაგის გზიდან სლავტაუსტკე უნდა წიყვანონ და შეკერთონ კეტერანოურ-ციუმენის გზასთან; 2) ვლადიკავკას-პეტროპოლისისა; 3) რომნი-კრემენჩუგისა და 4) გამელა-ბრანსკისა. ბ.პ.ნ.პ.ა აგრეთვე გამოცემა უნდა, რომლითაც ინიშნება მკორე თანაშეწილ სასეწიფო ბანკის მმართველისა.

გამოცხადდა ფინანსთა მინისტრის ინსტრუქცია შესახებ იმ ხარჯისა, რომელიც უნდა გამოიხარჯოს ევგუელ გვარგაპრისათვის.

იელისის 13-ს

მოსკოვი. იელისის 11-ს (განცხადება) განადგურა სამი მეოთხედი ქალაქის კლენისა; დაწვა საუკეთესო ნაწილი ქალაქისა; ბასარა და აგრეთვე სობორას ერთი კუთხე; მასკოვში რვაჯერ გაჩნდა ცეცხლი, რომელთაგან სამი ძლიერა იყო. ზარ და ნახევარ მილიონამდეა.

ბომბი. ქაბულის აჯანყების თაობაზედ დაყრდნობა არა მართლდება. იომიების გაწყობის ამტკიცებას,

ლაზღვადც სუსტადა ვართ. ჩვენი ალარა გეჰქეს და რომ გვეკონდეს, ხარჯვა გვეზარება სწველების საქმისათვის და სხვა ხარჯებს კი არ ვერიდებით, ძველი ჩვეულებისამებრ. ბული მისკდებოდა, მე, ქვემოთ ამის ხელის მომწერელს, მბილისისა და შუთაისის ბულიარზე რო ვხედავდი ამ ერთი თვის განმავლობაში თავ-დაქილულს და დაფიქრებულს 50-60 წლის თავდასა და აზნაურს, როცა ისინი ბანკების, პრიკაზის და ს-ის ჯიბის ამბავი იყენენ. მითონვე იწყველის ბედის-წერას, თითონვე იცემს გულში ხელს ასე უანგარიზოდ რად მოვიქცეო, მაგრამ სიკვდილ უკან სინანული რაღას გამოადგება ახლა ამ გვარად ჩაფიქრებული თავდაზნაურობა, გამონაცადი მდიდარის ცხოვრებისა და ჩავარდნილი სიღარიბეში, იმასა შერება კარგს, რომ უნდა აღიზნოს ყოველს თავის დაწესებულებაში ჰკვიანი, ენერგიული და თავდაზნაურთადმი გულის შემატკივარნი პირნი, რომელთაც შეეძლოს

რომ კმინი დასთანხმდა უანდაარში 10000 კაცის ბრიტანის ჯარის დაქვემდებარებას.

სოფია. მაკედონიაში აჯანყება წინარდება; ჩენოკოვარლები კიდევ გადმოდიან ბუღჯარაში, მაგრამ იმასზედ კა უარს ამბობენ, ვითომ მათ სურდეთ რაშების შედგენა მაკედონიაზე თავ-დასასხმელად.

ბირჟა

ბერკებურგა იელისის 12.

100 მანათის კურსი სამის თვით ღონდონზე	— 23 ¹ / ₄ 23 ¹ / ₄ 23 ¹ / ₄
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე	— 202 ¹ / ₂ 203 ¹ / ₄ 202 ¹ / ₂
100 მან. კურსი სამის თვით პარიზე	— 250 250 ¹ / ₂ 250
პოლიმპერიალები	— 8 მ. 30 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 30 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	— 5 ³ / ₄ და 6 ³ / ₄ %
5% ბილეტები სასკამ-ფიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	— 99 მ. 12 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— 97 ¹ / ₂ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— 97 მ. 12 კ. მუ.
მეოთხე გამოც.	— 97 მ. 12 კ. მუ.
მეხუთე გამოც.	— 97 ¹ / ₄ მ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	— 95 მ. 87 კ. გაუ.
მეორე გამოც.	— 95 მ. 12 კ. მუ.
მესამე გამოც.	— 95 მ. 12 კ. მუ.
5% მომგები ბილეტები I შინაგანის სესხისა	— 218 მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები II შინაგანის სესხისა	— 212 ¹ / ₂ მ. გაუ.
ოქროს რენტი	— 171 ³ / ₄ მ. გაუ.
თბილისის საადგილო-მამული ბანკის გირავნობ. ფურცლები	— 27 წ. 89 მ. გამუ. 43 წ. 87 ¹ / ₄ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილო-მამული ბანკის გირ. ფურც.	— 18 წ. 91 მ. გამუ. 43 წ. 90 მ. გამუ.

„დროების“ უმსტა

ბარეთუნელს; მლ ბ. კ—ლს; ბახველს; მთ—ს; მლ. პრ—ლს; ცნობის-მოყვარეს; ვინმე კომისიელს; პ—ს დ. ჩ—ანს; სოფელელს ბ. ნ. მ—ს, — თქვენი წერილება არ დაიბეჭდება.

უ—სს ზ. ჯ —ს. თქვენგან მოწერი-

ოდნად მაინც შეუმსუბუქონ მას მძიმე ტვირთი. პიდეგ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს თავდაზნაურობას აღმოაუწინა ორიოდ-სამიოდე პირი, რომელთაც, მართლა რომ შეუძლიანთ რიგინად და ნაკოფიერად იზრუნონ თავდაზნაურთათვის. მართლ-მანებთის წინამძღოლი თ. ივანე მუხრან-ბატონი და იმერეთისა ღმიტრი შიფიანი თავიანთ გამოცდილს, დამჯდარს და განვითარებულს გონებას ისე გააერთფერებენ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ, როგორც მათი ქალაქა ერთ-ფერი, ძველი მარშლები თუ ყარაულობისათვის ხარკს ადებდენ ჩვენს თავდაზნაურობას, ღმერთსა ესთხოვთ, რომ ახალმა მარშლებმა სასარგებლო სკოლისათვის დაადონ ეს ხარკი და იმითი დაერწმუნდებით, რომ იგინი არიან ჩვენნი პირისუფალნი.

* ამის ბერძნულიდან თარგმანი ახლაც ბერძნულზეა.

